



Development Cooperation
Ministry of Foreign Affairs of the Netherlands



ხელნახების სოციალური თუნხლება 2014

თელავი, ევლოშვილის 8
ტელ.: (+995 90) 18 90 30; (350) 27 20 19
ელ.ფოსტა: bemoni.telavi@gmail.com

ეს პუბლიკაცია მომზადებულია
საზოგადოებრივი გავრთიანება „ბემონისა“ და
„შიდსის ფონდი აღმოსავლეთ-დასავლეთის“
(AIDS Foundation East-West, AFEW) შიარ,
ნიღარულაძის სამაგოს საგარეო საქმეთა სამინისტროს
ფინანსური მხარდაჭერით,
განვითარების სფეროში თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში

სახელმძღვანელო
სერვისის
მიმწოდებლებისთვის

სოციალური თანხლების განსაზღვრება

მოწყვლად ჯგუფებთან მუშაობის წარმატებული ფორმის - სოციალური თანხლების წარდგენის დროს, ხშირად ხდება სოციალური თანხლების აღქმა, როგორც საქმიანობისა, რომლითაც უნდა დაკავდნენ მხოლოდ სოციალური სამსახურები (და არა ჯანდაცვის ან არასამთავრობო ორგანიზაციები). შესაძლოა, ასეთი დამოკიდებულების მიზეზი თავად სახელწოდებაში ვეძებოთ. დასავლეთის ქვეყნებში, სოციალურ თანხლება ცნობილია ასევე «client management» ან «case management»-ის სახელწოდებით (სიტყვასიტყვით ითარგმნება: „შემთხვევის მართვა“ ან „კლიენტის მართვა“) და ნიშნავს კლიენტთან ინდივიდუალურ მუშაობას მისთვის დახმარებისა და მხარდაჭერის აღმოჩენის მიზნით.

შემთხვევის მართვის მეთოდით სარგებლობას შედარებით ხანგრძლივი ისტორია აქვს ფსიქიკური დაავადებების მქონე პაციენტთა მკურნალობაში. მიუხედავად იმისა, რომ ფორმები და მასშტაბები სხვადასხვა ადგილას საკმაოდ განსხვავებული იყო, ეს მეთოდი მეტად ეფექტურად იქნა მიჩნეული ზოგადად ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროსათვის აშშ-ში, კანადაში, ავსტრალიასა და ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში.

1980-იანი წლებიდან დაიწყო მეთოდის ადაპტირება ფსიქოპრობლემების ნივთიერებების გამოყენებით გამოწვეული დარღვევების მქონე პირთა დასახმარებლად. ზოგიერთ ქვეყანაში აღნიშნული მეთოდით სარგებლობენ ზოგადად წამლდამოკიდებულთა დასახმარებლად, ზოგან კი - განსაკუთრებულად მოწყვლად პოპულაციაში, ანუ ე.წ. განსაკუთრებულად რთულ კლიენტებში, რომელთაც აქვთ მრავლობითი პრობლემები და/ან აწყდებიან სპეციფიკურ ბარიერებს მათთვის საჭირო მომსახურების მისაღებად. ესენია: ფეხმძიმე ქალები, აივ-ინფიცირებულები, პაციენტები ორმაგი ფსიქიკური დიაგნოზით, სხვა მძიმე ქრონიკული დაავადებებით დაავადებულნი, ინვალიდები, პატიმრები, უსახლკარო და სოციალურად დაუცველი პირები, კომერციული სექსის მუშაკები და სხვა.

შემთხვევის მართვის სხვადასხვა ქვეყანაში დანერგილი მეთოდიკა და მისი ცალკეული ნიუანსები გარკვეულად განსხვავებულია, მაგრამ ძირითადი პრინციპები ერთიანი რჩება: კლიენტზე ორიენტირება, თემის რესურსებზე დაყრდნობა, მრავალმხრივობა, პრაგმატულობა, მოქნილობა, კულტურული სპეციფიკის გათვალისწინება. ასევე მსგავსია მეთოდის გამოყენების შედეგად მიღებული ძირითადი შედეგები: კლიენტისთვის სხვადასხვა მომსახურების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, პროგრამებში მონაწილეობისა და დაყოვნების გაზრდა, მიღებული შედეგების ოპტიმიზაცია და ეფექტიანობა.

სოციალური თანხლება (case management) - კონკრეტული ინდივიდის ან ადამიანთა ჯგუფის სოციალური პრობლემების მოგვარებაზე მიმართული საქმიანობა.

სოციალური თანხლების როლი აივ პროფილაქტიკის პროგრამებში

მოწყვლად ჯგუფებთან, კერძოდ, ინექციური ნარკოტიკების მომხმარებლებთან, სექს-მუშაკებთან, ჰომოსექსუალური ურთიერთობების მქონე მამაკაცებთან მუშაობის გამოცდილებამ აჩვენა, რომ მათ ქცევებში პოზიტიური ცვლილებებისათვის ყოველთვის არ არის მხოლოდ ინფორმაციისა და საჭირო რესურსების მიწოდება.

როგორც წესი, მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლებს აქვთ პრობლემების მთელი კომპლექსი: სამედიცინო, იურიდიული, ფსიქოლოგიური და სხვ. ამავე დროს, ჯანმრთელობის ხელშეწყობასა და შენარჩუნებასთან დაკავშირებული პრობლემები ამ ჯგუფებისთვის ხშირად არ არის პრიორიტეტული - მათთვის უფრო მნიშვნელოვანია პირადი უსაფრთხოების მოთხოვნილება, მუდმივი სტრესისაგან ან მარტოობისაგან განთავისუფლების სურვილი და ა.შ. იმისათვის, რომ ეფექტურად იქნას განხილული აივ პროფილაქტიკის საკითხები, აუცილებელია, მანამდე შეიქმნას ასეთი განხილვისათვის საჭირო პირობები. კლიენტის სხვა, მისთვის უფრო მნიშვნელოვანი პრობლემების არსებობის იგნორირებით, ჩვენ ნიადაგს ვამზადებთ საკუთარი მარცხისათვის: აივ ინფექციასთან დაკავშირებულ პრობლემებზე საუბარი „წყლის ნაყვ“ იქნება.

სწორედ ეს თეზისი უდევს საფუძვლად აივ ინფექციის პროფილაქტიკაში სოციალური თანხლების კონცეფციის გამოყენებას. სოციალური თანხლება ეხმარება კლიენტებს მათთვის ყველაზე აქტუალური პრობლემების მოგვარებაში. დროთა განმავლობაში, კონსულტანტს ეძლევა საშუალება, კლიენტთან ერთად განიხილოს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული საკითხები. უნდა აღინიშნოს, რომ როცა კლიენტი იღებს დახმარებას მისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პრობლემების მოგვარებაში, როგორც წესი, ის დამოუკიდებლად იღებს საკუთარი სარისკო ქცევის უსაფრთხო ქცევით შეცვლის გადაწყვეტილებას.

პროფილაქტიკური სოციალური თანხლება (პსთ), (Prevention Case Management, PCM) - არის აივ პროფილაქტიკის კლიენტზე ორიენტირებული საქმიანობა, რომელიც მიმართულია აივ ინფექციის თვალსაზრისით მაღალი რისკის შემცველი ქცევის გაკონტროლებასა და შემცირებაზე იმ კლიენტებში, რომლებსაც აწუხებს მრავლობითი პრობლემები და ამ პრობლემების მოსაგვარებლად საჭიროებენ კომპლექსურ მიდგომას. კომპლექსური სოციალური მიდგომა აერთიანებს კონსულტირებასა და ტრადიციულ სოციალურ თანხლებას; აწვდის კლიენტს ინტენსიურ და ხანგრძლივ მომსახურებას კონსულტირების და მხარდაჭერის სახით; შუამავლის როლს თამაშობს კლიენტსა და მომსახურების მიმწოდებელ სხვა დაწესებულებას შორის.

ბოლო წლებში, დასავლეთში პროფილაქტიკურ სოციალურ თანხლებას (პსთ) უწოდებენ **რისკის კომპლექსურ კონსულტირებას და მომსახურებას** (Comprehensive Risk Counseling and Services, CRCS) - ეს არის ინტენსიური, ინდივიდუალური, კლიენტზე ორიენტირებული რისკის შემცირების ინტერვენცია აივ დაინფიცირების ან ინფექციის სხვებისთვის გადაცემის თვალსაზრისით მაღალი რისკის მქონე ადამიანებისთვის.

სოციალური თანხლების ძირითადი ამოცანები აივშიდისის კონტექსტში

1. კლიენტის მდგომარეობისა და საჭიროებების შეფასება და მრავალმხრივი დახმარების გეგმის შედგენა, რომელიც ეხება კლიენტის ცხოვრების ძირითად სფეროებს: სამედიცინოს, ფსიქოლოგიურს, ფინანსურს და ა.შ.
2. კლიენტის საჭიროებების შესაბამისი სერვისების შეთავაზება
3. კლიენტის დახმარება საჭირო სერვისებისათვის მიმართვაში
4. კლიენტის მხარდაჭერა სერვისების მიღების ყველა ეტაპზე
5. სერვისების დუბლირების ალბათობის შემცირება
6. კლიენტისა და მისი ოჯახის წევრების დამოუკიდებლად მოქმედების მხარდაჭერა
7. კლიენტის ინფორმირება აივ ინფექციის, რისკის შემცველი ქცევისა და ჯანმრთელობაზე ზრუნვის აუცილებლობის შესახებ

კლიენტზე ორიენტირებული მომსახურება

კლიენტზე ორიენტირებული (კლიენტ-ცენტრირებული) მომსახურება ეხმარება კლიენტს, გამოიყენოს თავისი ძლიერი მხარეები საკუთარი მიზნების იდენტიფიკაციისა და დასახული ამოცანების შესასრულებლად. ეს მიდგომა სოციალური თანხლების სერვისის თანამშრომლებს ავალდებულებს, კლიენტების მოთხოვნების შესაბამისად მოახდინონ სერვისების ადაპტირება და არ მოითხოვონ კლიენტისაგან, რომ მოერგოს არსებულ სერვისებს.

ძლიერ მხარეებზე დაყრდნობა - ძალიან ხშირად, როდესაც კლიენტების მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ვზრუნავთ, ჩვენი ძალისხმევა მიმართულია იმაზე, რომ ვიმუშავოთ მათი უშუალო პრობლემების გადაჭრაზე. მიუხედავად იმისა, რომ საუკეთესო მოსაზრებები გვამომრავებს, ასეთი მიდგომით ჩვენ უარს ვამბობთ კლიენტის ძლიერი მხარეებისა და წარმატებების შეფასებაზე, რაც საფუძვლად დაედებოდა უფრო ხანგრძლივ და მყარ ცვლილებებს მის ცხოვრებაში. ამას გარდა, პოზიტიური მიდგომა ხელს უწყობს კლიენტის პროგრამაში დარჩენას და სერვისის მიმწოდებლებთან თანამშრომლობას.

რატომ ვაკეთებთ იმას, რასაც ვაკეთებთ? ჩვენი მუშაობის მიზანი. არავისთვის საკამათო არ არის, რომ თუკი ადამიანები მკაფიოდ გააცნობიერებენ, რა არის მათი მუშაობის მიზანი, ისინი უკეთ შეასრულებენ თავიანთ სამუშაოს. მუშაობის მიზანი არის ის, რისი მიღწევაც უნდა ადამიანს საკუთარი ძალისხმევით და რა შედეგებს ელოდება ამ მუშაობით. თუკი წამალდამოკიდებულ კლიენტებთან მომუშავე კონსულტანტს ვკითხავთ: „რა არის კლიენტებთან თქვენი მუშაობის საბოლოო შედეგი?“ უმრავლესობა გვიპასუხებს: „დავეხმარო კლიენტებს სუფიზის მიღწვასა და შენარჩუნებაში“. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია, მაგრამ ძლიერ მხარეებზე დაფუძნებული, პიროვნებაზე ორიენტირებული მიდგომის შემთხვევაში, ეს შედეგი საკმარისი არ არის. აქ სიფხიზლე განიხილება, როგორც საშუალება და არა როგორც მიზანი.

ძლიერ მხარეებზე დაფუძნებული მოდელის ფარგლებში დახმარების მიზანია ცალკეულ პიროვნებებთან და ოჯახებთან მუშაობა ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული პარტნიორობის კონტექსტში, რათა მოხდეს იმ გარეგანი და შინაგანი რესურსების გამოვლენა,

გაძლიერება და შენარჩუნება, რომლებიც საჭიროა საზოგადოებაში ნორმალური ფუნქციონირებისთვის.

ძლიერ მხარეებზე დაფუძნებული, პიროვნებაზე ორიენტირებული მოდელი	ნაცვლად	ტრადიციული, დაავადებაზე ორიენტირებული მოდელისა
მეორე ადამიანის დახმარება		პაციენტის ან კლიენტის მკურნალობა
ადამიანების განხილვა პროცესის აქტიურ მონაწილეებად		სერვისის პასიური, დამოკიდებული მიმღები
მოლაპარაკებასა და კომპრომისზე დაფუძნებული, ერთიანი გეგმა		დანიშნულების ან გეგმის ცალმხრივი შეთავაზება
ძირითადი აქცენტი სოციალურ, გარეგან სურვილებსა და საჭიროებებზე (იმის გათვალისწინებით, რომ გარეგანი და შინაგანი მოთხოვნები მუდმივ ურთიერთქმედებაშია)		აქცენტი შინაგან, ანუ „ინტრაფსიქიკურ“ სურვილებსა და საჭიროებებზე
შედეგები ფასდება დაკვირვებადი, გაზომვადი ქცევებითა და მიღწევებით ყოველდღიურ ცხოვრებაში		შედეგები ფასდება აბსტრაქციული კონსტრუქციებით - თვით-აქტუალიზაცია, დამოუკიდებლობა, საკუთარი ღირსების გრძნობა და ა.შ.
ურთიერთზე დამოკიდებულება და სამოქალაქო პასუხისმგებლობა		დამოუკიდებლობა და პაციენტის უფლებები

ძლიერ მხარეებზე დაფუძნებული, პიროვნებაზე ორიენტირებული მიდგომის პრაქტიკაში გამოყენებისას, ძირითადი მიზნის მიღწევა იზომება იმის მიხედვით, თუ რამდენად ახორციელებს ჩვენი კლიენტი ისეთ ქცევებს, რომლებიც სოციალურად მისაღებია და დაშვებულია საზოგადოებაში. ასეთი მოსაზრებაც არსებობს, რომ კანონები სხვა არაფერია, თუ არა კოდიფიცირებული სოციალური ნორმები.

სამედიცინო/ბიოლოგიური პერსპექტივის ინტეგრირება პიროვნებაზე ორიენტირებულ, ძლიერ მხარეებზე დაფუძნებულ მოდელში

ეს მიდგომა განვიხილოთ წამალდამოკიდებულების მაგალითზე. როგორც პროფესიონალები, ჩვენ ვხელმძღვანელობთ ადამიანთა ქცევის შესახებ საზოგადოებაში გავრცელებული მოსაზრებებით და განწყობებით. ყველასათვის ცნობილია, რომ ადიქტიური ქცევის ჩამოყალიბებაში ბიოლოგიური კომპონენტი მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ამავე დროს, თანხმდებიან იმაზეც, რომ ადამიანის ბიოლოგიაზე, თავის ტვინის ფუნქციების ჩათვლით, ზეგავლენას ახდენს გარემო ფაქტორები. არსებობდა ტენდენცია, რომ დაავადების მოდელი და ძლიერი მხარეების მოდელი განეხილათ, როგორც ურთიერთგამომრიცხავი პოლარული უკიდურესობები. თუმცა, პიროვნებაზე ორიენტირებული ფილოსოფია ადასტურებს, რომ ამ ორი პერსპექტივის თანაარსებობა შესაძლებელია და გვეხმარება, უფრო სრულად გავერკვეთ და ჩავერიოთ ისეთ რთულ მოვლენაში, როგორც არის ქიმიური დამოკიდებულება.

სამედიცინო/ბიოლოგიური	ძლიერ მხარეებზე დაფუძნებული
პრობლემური ქცევა (მაგ., ალკოჰოლის სისტემატიური მიღება) დაავადების სიმპტომა. პიროვნებას არ შეუძლია საკუთარი ქცევის გაკონტროლება დაავადების გამო, რომელსაც ნეირობიოლოგიური საფუძველი აქვს. მხოლოდ სამუდამო და სრული თავშეკავება მისცემს ადამიანს საშუალებას, გაუმკლავდეს ალკოჰოლიზმს, რადგან ეს არის ქრონიკული, განუკურნებელი დაავადება.	გადაწყვეტილება, დალიოს თუ არ დალიოს, ადამიანის ყოველდღიური, მუდმივი, პერსონალური არჩევანის საკითხია, მაშინ, როცა თავის ტვინის ბიოქიმია მოცემულობაა და არჩევანის გაკეთებას არ ექვემდებარება. მთავარია, გავერკვეთ, რას წარმოადგენს ადიქტიური ქცევა თითოეული პიროვნებისათვის, რომელიც უნიკალურია და პრობლემური ქცევა განვიხილოთ სოციალურ კონტექსტში.
როდესაც ადამიანს აქვს ორმაგი დიაგნოზი - წამალდამოკიდებულება და ფსიქიკური დაავადება ერთდროულად, განსხვავებული მოსაზრებები არსებობს იმასთან დაკავშირებით, თუ პირველადი რომელია და რომელ დაავადებაზე უნდა მოხდეს პირველ რიგში ფოკუსირება. მიღებულია ორივე პათოლოგიის ერთდროული მკურნალობა.	როდესაც ადამიანს აქვს ორმაგი დიაგნოზი - წამალდამოკიდებულება და ფსიქიკური დაავადება ერთდროულად, ძირითადი აქცენტი კეთდება პიროვნებაზე და არა მის დაავადებაზე. კლიენტის მხარდაჭერის პროგრამას საფუძვლად ედება კლიენტების მიერ გაჟღერებული სოციალური შედეგები, სურვილები, მისწრაფებები.
ძირითადი კონცეფციებია შეზღუდვების დაწესება, კონფრონტაცია, მითითებების მიცემა, სრული თავშეკავება, როგორც მკურნალობის ძირითადი ამოცანა.	ძირითადი კონცეფცია მოიცავს თანამშრომლობას, ძალაუფლებისა და პასუხისმგებლობის გაზიარებას, ურთიერთზე დამოკიდებულებას, სოციალურ/ქცევით გამოსავალს (მოტივაციის გაძლიერება, განწყობების, ქცევის შეცვლა), ზიანის შემცირებას, გამოჯანმრთელებას.

მოტივაციის დეფინიცია

- მოტივაცია განიხილება, როგორც პროცესი, რომელიც ახდენს მიზანმიმართული ქმედების ინიცირებას, წარმართვას და შენარჩუნებას.
- მოტივაცია - შინაგანი და გარეგანი ფაქტორები, რომლებიც ახდენენ ადამიანის სურვილების და ენერჯის სტიმულირებას, რათა მან განახორციელოს ძალისხმევა დასახული მიზნის მისაღწევად

მოტივაციის განმარტება ძლიერ მხარეებზე დაფუძნებული მოდელის მიხედვით: ძალისხმევის მიმართვა იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას, ის, რაც სურს ადამიანს ან თვლის, რომ მას ეს სჭირდება.

ძლიერ მხარეებზე დაფუძნებული, პიროვნებაზე ორიენტირებული მიდგომის დროს, კონსულტანტი არ განიკითხავს და არ ტუქსავს კლიენტს. ყველა ადამიანი, სანამ სუნთქავს, განიხილება, როგორც რაღაცით მოტივირებული. ჩვენი ამოცანა უნდა იყოს, დავეხმაროთ კლიენტს, გააცნობიეროს, რომ დაავადება ზეგავლენას ახდენს იმ გადაწყვეტილებებზე, რომლებსაც ის იღებს (ფიზიკური/ფსიქოლოგიური დისკომფორტი, კონკრეტული ქცევის განხორციელების ძლიერი სურვილი), მგრამ დაავადება არ იღებს გადაწყვეტილებას მის ნაცვლად. თუ ადამიანს სურს, იგრძნოს შვევა, დამშვიდდეს, იყოს ბედნიერი, ამ მიზნების მიღწევის ალტერნატიული გზები არსებობს. როდესაც ჩვენ მოტივაციას ასეთი

ფართო თვალსაზრისით განვიხილავთ, გვიადვილდება კლიენტისათვის ალტერნატივების შეთავაზება.

სოციალური თანხლების დროს დაცული უნდა იყოს კლიენტის:

- უფლება პირად ცხოვრებაზე და კონფიდენციალობა;
- უფლება, მოექცნენ პატივისცემით;
- უფლება, დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება;
- უფლება, მიიღოს მაღალი ხარისხის სამედიცინო და სოციალური დახმარება

სოციალური თანხლების მოდელები

ლიტერატურაში აღწერილია აივ/შიდსის სფეროში სოციალური თანხლების რამდენიმე მოდელი, რომლებიც მიმართულია სხვადასხვა სამიზნე აუდიტორიაზე და გარემოზე და, ამასთან დაკავშირებით, გულისხმობს სოციალური კონსულტანტის განსხვავებულ როლს და სხვადასხვა ტიპის მომსახურებას.

ბროკერის მოდელი - ფოკუსირებულია იმაზე, რომ დააკავშიროს კლიენტი იმ ცენტრებთან, რომელთაც კლიენტისათვის საჭირო რესურსები გააჩნია. ჩვეულებრივ, ასეთი ცენტრები იმ სააგენტოს გარეთ არის, რომელიც სოციალური თანხლები სერვისს აწვდის კლიენტებს. ასეთი მოდელის მიხედვით, სოციალური სამსახურის კონსულტანტსა და კლიენტს შორის ურთიერთობა შეზღუდულია, რადგან კონსულტანტის ამოცანა მდგომარეობს მხოლოდ კლიენტის საჭიროებების შეფასებაში და სერვისების მიმწოდებლებთან მის გადამისამართებაში. ამ მოდელის გამოყენებით, როგორც წესი, კლიენტების მოცვა საკმაოდ მაღალია. სოციალური თანხლების კონსულტანტი პასუხისმგებელია კლიენტის საჭიროებების განსაზღვრაზე და შემუშავებული გეგმის შესრულებაზე.

რეაბილიტაციური მოდელი - სოციალური თანხლების მუშაკს და კლიენტს შორის ურთიერთობა დამყარებულია კლიენტის მიერ სერვისების მიღებაზე. კლიენტის სუსტი და ძლიერი მხარეების შეფასებით, სოციალური თანხლების მუშაკი ეხმარება კლიენტს, გადალახოს ის ბარიერები, რომლებიც ხელს უშლის მას საზოგადოებაში დამოუკიდებლად ფუნქციონირებაში. როდესაც ბარიერები წარმატებით გადაილახება, კლიენტის ურთიერთობა კონსულტანტთან ან წყდება, ან უფრო ნაკლებად ინტენსიური ხდება.

სრული მხარდაჭერის მოდელი - დაფუძნებულია რეაბილიტაციური მოდელის ფუნდამენტურ პრინციპებზე ინტეგრირებული სერვისების მიწოდების მულტიდისციპლინური ჯგუფის გამოყენებით. მოცემული მოდელის განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ არ ხდება კლიენტის გადამისამართება სხვა სამსახურებში - ყველა მომსახურება მიწოდება ერთ ადგილზე. სოციალური თანხლების მუშაკის როლი ამ შემთხვევაში მდგომარეობს არა მარტო პროცესის კოორდინირებაში, არამედ კლიენტისათვის გარკვეული მხარდაჭერის აღმოჩენაში და მისთვის სხვადასხვა უნარ-ჩვევების სწავლებაში.

ძლიერი მხარეების მოდელი - დამყარებულია კლიენტის ძლიერი მხარეების გამოვლენაზე. აქ კონსულტანტის როლი არის შემდეგი - დაეხმაროს კლიენტს, ჩამოაყალიბოს საკუთარი მიზნები და ზუსტად მისდიოს მათ.

რისკის მქონე ახალგაზრდების სოციალური თანხლება

განსაკუთრებული რისკის ქვეშ მყოფი მოზარდების და ახალგაზრდების სოციალური თანხლების ორგანიზების დროს აუცილებელია, გათვალისწინებული იქნას ამ სამიზნე ჯგუფისა და მასთან დაკავშირებული სოციალური გარემოცვის თავისებურებები.

ამ ჯგუფისათვის დახმარების აღმოჩენა არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ მოზარდების და ახალგაზრდებისათვის ცალკეული სერვისების მიწოდებით. აუცილებელ პირობას წარმოადგენს თანხლების პროცესში მოზარდისათვის მნიშვნელოვანი პირების ჩართვა - მშობლების, მეურვეების, იმ პირების, ვისაც ურთიერთობა აქვს ახალგაზრდებთან: პედაგოგები, ფსიქოლოგები, სოციალური მუშაკები, ექიმები, სამართალდამცვი ორგანოების წარმომადგენლები.

თითოეული მონაწილე აქტიურად უნდა იყოს ჩართული თანხლების პროცესში და აქტიურ როლს ასრულებდეს ახალგაზრდების ინდივიდუალური სოციალური თანხლების სტრუქტურირებული პროგრამის ფარგლებში. თანხლების პროცესის შედეგებზე პასუხისმგებლობა გადანაწილდება კონსულტანტზე, კლიენტზე და მის გარემოცვაზე.

სოციალური თანხლების სისტემა

სოციალური თანხლების სისტემა არის სტრუქტურა, რომელიც მოიცავს სოციალური თანხლების სერვისს და პარტნიორების ქსელს, რომელთა საქმიანობა დამყარებულია ურთიერთშეთანხმებაზე.

სოციალური თანხლების სერვისი (სოციალური ბიურო) - ეს არის სპეციალიზებული სამსახური, რომელიც კლიენტებს აწვდის სოციალური თანხლების სერვისს.


სოციალური ბიუროს ამოცანები

1. კონსულტირება კლიენტების სოციალური მომსახურების საკითხებზე;
2. იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
3. კრიზისულ სიტუაციებში ფსიქოლოგიური დახმარების უზრუნველყოფა;
4. სამედიცინო დახმარების მიღების ხელშეწყობა;
5. კლიენტის დახმარება, შეამციროს პირადი რისკი აივ-ინფიცირების თვალსაზრისით

სოციალური თანხლების პროცესის ეტაპები: ექვსი ნაბიჯი კლიენტთან მუშაობაში წარმატებული შედეგის მისაღწევად

სოციალური თანხლება წარმოადგენს მწყობრ სისტემას, რომლის დროსაც ერთი ეტაპი თანამიმდევრულად იცვლება მეორეთი. სოციალური თანხლების სპეციალისტი ეხმარება კლიენტს, გაერკვეს არსებულ სიტუაციაში, გამოყოს ყველაზე აქტუალური პრობლემები და განსაზღვროს მათი გადაჭრის გზები. შემდეგ კონსულტანტი უხსნის კლიენტს, რა სერვისებით შეუძლია მას სარგებლობა და ეხმარება ამ სერვისების მიღებაში.

გამოყოფენ სოციალური თანხლების ციკლის 6 ეტაპს:



ნაბიჯი 1. კლიენტის მოზიდვა და პროგრამაში ჩართვა

კითხვები, რომელთაც პირველ რიგში უნდა გაეცეს პასუხები:

1. ვისთან აპირებთ მუშაობას? (სამიზნე აუდიტორია)
2. როგორ მოიზიდავთ კლიენტებს?
3. რა უნდა მოხდეს პირველი კონტაქტის დროს? როგორ უნდა მოიქცეთ, თუკი მოგმართავთ კლიენტი, რომელიც არ მიეკუთვნება თქვენს სამიზნე აუდიტორიას?

ჩვენს შემთხვევაში, სამიზნე აუდიტორიას მიეკუთვნება განსაკუთრებული რისკის ქვეშ მყოფი მოზარდები და ახალგაზრდები.

მას შემდეგ, რაც განისაზღვრება სამიზნე ჯგუფი, მოდის შემდეგი კითხვა: როგორ გავხადოთ პროგრამა მომხიბლავი კლიენტებისათვის? არსებობს კლიენტების მოზიდვის რამდენიმე მექანიზმი. სოციალური თანხლების თითოეულ პროგრამას უნდა ჰქონდეს კლიენტების

მიებისა და პროგრამაში მიღების საკუთარი გეგმა. ეს გეგმა უნდა მოიცავდეს სამიზნე ჯგუფის ინფორმირების სტრატეგიას, პროგრამის მიზანს, ადგილმდებარეობას და მიღების პირობებს.

პროგრამაში კლიენტები შეიძლება მოხვდნენ:

- აუთორიზის მეშვეობით;
- ნდობის ტელეფონის საშუალებით
- სხვა სამედიცინო-სოციალური სამსახურებიდან
- რეკლამის მეშვეობით (ნაბეჭდი, ვიზუალური და სხვ.)

სოციალური თანხლების პროგრამის შესახებ ინფორმაციის პოტენციური წყაროები:

- სამედიცინო დაწესებულებები
- არასამთავრობო ორგანიზაციები
- ახალგაზრდული ორგანიზაციები
- ნკტ სერვისები
- რელიგიური ორგანიზაციები
- თავშესაფრები
- სკოლები, სასწავლებლები
- პრობაციის სამსახური

პირველადი კონტაქტის დროს სოციალური თანხლების სპეციალისტის წინაშე შემდეგი ამოცანები დგას:

1. განსაზღვროს, მიეკუთვნება თუ არა კლიენტი სამიზნე ჯგუფს. პირველადი კონტაქტის დროს გროვდება ინფორმაცია კლიენტის შესახებ, რათა განისაზღვროს კლიენტის პრობლემების სპექტრი, მისი მოთხოვნები და მოლოდინები სოციალურ თანხლებასთან დაკავშირებით და შეესაბამება თუ არა ეს მოთხოვნები სოციალური ბიუროს კომპეტენციას.

2. მიაწოდოს კლიენტს სრული ინფორმაცია სოციალური ბიუროს სერვისების შესახებ, ბიუროს მუშაობის სპეციფიკისა და კონფიდენციალობის დაცვის შესახებ.

იმ შემთხვევაში, თუ ადამიანი, რომელმაც ბიუროს მომართა, არ მიეკუთვნება სამიზნე პოპულაციას ან რაღაც მიზეზის გამო ვერ მიიღებს პროგრამაში მონაწილეობას, მას მიეწოდება ინფორმაცია იმ სამსახურების შესახებ, სადაც ის მიიღებს სათანადო დახმარებას.

ნაბიჯი 2. სიტუციის შეფასება და კლიენტის საჭიროებათა განსაზღვრა

იმისათვის, რომ სოციალური თანხლების სპეციალისტმა შეძლოს კლიენტისათვის ადეკვატური დახმარების აღმოჩენა, მას ესჭიროება შემდეგი ინფორმაცია:

- ინფორმაცია ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ქრონიკული დაავადებები, გადატანილი ტრავმა ან მძიმე დაავადებები, ფსიქიკური დაავადებები, ხომ არ არის ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ, ხომ არ იღებს რეგულარულად მედიკამენტებს)
- ინფორმაცია ოჯახის შესახებ (ოჯახის შემადგენლობა, საყოფაცხოვრებო პირობები, ოჯახური ურთიერთობები)
- თამბაქოს, ალკოჰოლის და ნარკოტიკის მოხმარების ისტორია

- ინფორმაცია აივ ინფექციასთან დაკავშირებული სარისკო ქცევების შესახებ
- ინფორმაცია განათლების დონისა და სამუშაო გამოცდილების შესახებ (მიღებული განათლება, ამჟამად სწავლობს ან მუშაობს/მუშაობდა თუ არა)
- ინფორმაცია გართობის/ თავისუფალი დროის შესახებ
- ინფორმაცია კანონთან კონფლიქტის შესახებ (დაკავება, პატიმრობა, პრობაცია)

შეფასების დროს, სპეციალისტმა უნდა გამოავლინოს პრობლემების კომპლექსი, რომლებიც უნდა გადაიჭრას სოციალური თანხლების პროცესში და მათი გადაჭრის შესაძლებლობა. ამისათვის, კონსულტანტმა უნდა განსაზღვროს:

- რამდენად ადეკვატურია ის მოთხოვნა, რომლითაც მოგმართათ კლიენტმა
- რამდენად განვითარებული აქვს კლიენტს პრობლემების გადაჭრის უნარი
- როგორია კლიენტის მოტივაცია, მონაწილეობა მიიღოს პროგრამაში

ამის შემდეგ კონსულტანტი სთავაზობს კლიენტს კონტრაქტის დადებას და მასთან ერთად შეიმუშავებს სოციალური ადაპტაციის გეგმას.

ნაბიჯი 3. ინდივიდუალური გეგმის შემუშავება

ეს არის სოციალური თანხლების პროცესის მესამე ეტაპი, რომელზეც ხდება კლიენტისთვის სერვისების მიწოდების გეგმის შემუშავება და იმ ორმხრივი ვალდებულებების განსაზღვრა, რომლებსაც თავის თავზე იღებენ კონსულტანტი და კლიენტი. გეგმა უნდა შეესაბამებოდეს შეფასების პროცესში გამოვლენილ კლიენტისა და მისი ოჯახის საჭიროებებს. გეგმა მოიცავს აგრეთვე მიზნებსა და ამოცანებს, რომელთა მიღწევაც უნდა მოხდეს დროის გარკვეულ მონაკვეთში, ასევე, გადასადგმელ ნაბიჯებს და მოსალოდნელ შედეგებს. კლიენტსა და კონსულტანტს შორის ურთიერთობების ფორმალიზაციის საშუალებას წარმოადგენს ხელშეკრულება კლიენტის პროგრამაში მონაწილეობის შესახებ.

ხელშეკრულების გაფორმება. სოციალური თანხლების ძირითადი პროგრამის რეალიზება იწყება მხოლოდ მას შემდეგ, რაც გაფორმდება კონტრაქტი კლიენტსა და სერვისს შორის, რომელიც არეგულირებს ურთიერთობებს თანხლების პროცესში ორივე მხარის მოთხოვნების შესრულების საფუძველზე. კონტრაქტის გაფორმების წინ მნიშვნელოვანია, კარგად ავუხსნათ კონტრაქტის არსი და ის მოთხოვნები, რასაც მას პროგრამაში მონაწილეობა უყენებს. კონტრაქტის გაფორმების წინ:

- უნდა განვუმარტოთ კლიენტს შეთანხმების არსი;
- გავაცნოთ დახმარების პროგრამა, მუშაობის ძირითადი მიმართულებები და მეთოდები;
- ავუხსნათ, რომ კლიენტი იღებს ვალდებულებას, აქტიურად ჩაერთოს პროგრამაში და შეასრულოს თავის თავზე აღებული ვალდებულებები

შეთანხმება თერაპიულ ფუნქციასაც ასრულებს. ეს არის ინსტრუმენტი, რომელიც არეგულირებს კლიენტებისა და პროგრამის პერსონალის ურთიერთობებს; ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, ახდენს სიტუაციის პროგნოზირებას, უზრუნველყოფს კლიენტისა და პერსონალის ურთიერთობის სტაბილურობას. შეთანხმება კლიენტის პროგრამაში მონაწილეობის მოტივაციის შექმნის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს,

კლიენტსა და სპეციალისტებს შორის პასუხისმგებლობების გადანაწილების საშუალებას იძლევა. კონტრაქტი კონფიდენციალური დოკუმენტია.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ფორმალური, იურიდიული თვალსაზრისით, კონტრაქტი კლიენტს ვალდებულებებს არ აკისრებს, მაგრამ შეიძლება გამოყენებულ იქნას საშუალებად, რათა სოციალური ბიუროს თანამშრომლებმა თავიდან აიცილონ კლიენტის მხრიდან მანიპულირების მცდელობები.

გეგმის შემუშავება. სოციალურ ბიუროში მიმართვისას, ბევრი ადამიანი კარგად ვერ ხვდება, რა სახის დახმარებას მიიღებს, როგორი თანამიმდევრობით და დროის რა პერიოდის განმავლობაში. ამ საკითხის გასარკვევად და უსაფუძვლო მოლოდინების თავიდან ასაცილებლად, მუშავდება ინდივიდუალური გეგმა. კლიენტთან მუშაობის ინდივიდუალური გეგმა ეყრდნობა შეფასების ეტაპზე მიღებულ ინფორმაციას და მოიცავს მოკლევადიანი და გრძელვადიანი ამოცანებისა და მათი შესრულების ეტაპების აღწერას. ამოცანები უნდა იყოს კონკრეტული და მიღწევადი. გეგმა უნდა მოიცავდეს დასახული ამოცანების მისაღწევად საჭირო ქმედებებს, მოსალოდნელ შედეგებს, პასუხისმგებლობების გადანაწილებას და შესრულების ვადებს. კლიენტთან მუშაობის გეგმა არის დოკუმენტი, რომელშიც რეგულარულად შედის ცვლილებები, გეგმა იხვეწება, მას ემატება აუცილებელი მონაცემები.

თუკი კლიენტი არ ეთანხმება თანამშრომლობის შეთავაზებულ წესებს ან მისი მოთხოვნები არაადეკვატურია, კონსულტანტს აქვს უფლება, უარი უთხრას მას თანამშრომლობაზე. ამავე დროს, კონსულტანტი ვალდებულია, აუხსნას უარის მიზეზი და მიაწოდოს კლიენტს ინფორმაცია სხვა სერვისების შესახებ.

კონფიდენციალობა თუ ანონიმურობა? სოციალური თანხლების ბიუროს მომსახურება კონფიდენციალურია და არა ანონიმური. კონტრაქტის გაფორმება გულისხმობს, რომ კლიენტი აწვდის კონსულტანტს პირად ინფორმაციას იმ პირობით, რომ ამ ინფორმაციის გამჟღავნება კლიენტის თანხმობის გარეშე არ მოხდება. თუ კლიენტი დაჟინებით მოითხოვს ანონიმურობას, უნდა ავუხსნათ, რომ ამით ის მნიშვნელოვნად უზღუდავს კონსულტანტს დახმარების აღმოჩენის საშუალებათა სპექტრს. ასეთ კლიენტებთან ხელშეკრულება არ გაფორმდება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ის ვერ მიიღებს დახმარებას ბიუროში. ანონიმურ კლიენტებს მიეწოდება ერთჯერადი სერვისი. ამ პროცესში უნდა მოხდეს მათი მოტივირება, ჩაერთონ პროგრამაში.

ნაბიჯი 4. თანხლების პროცესი

კლიენტთან მუშაობის გეგმის შესრულება და სხვადასხვა მაკოორდინირებელი საქმიანობა წარმოადგენს სოციალური თანხლების სპეციალისტის მოვალეობას და იწყება კლიენტთან მუშაობის ინდივიდუალური გეგმის შედგენისთანავე. კონსულტანტი და ბიუროს სხვა თანამშრომლები ეხმარებიან კლიენტს და მის ოჯახის წევრებს, უკავშირდებიან სხვა სპეციალისტებსა და ორგანიზაციებს, რომელთაც შეუძლიათ, მიაწოდონ კლიენტს მისთვის საჭირო სერვისები. განხორციელების პროცესში, კლიენტთან შეთანხმებით, გეგმაში შედის ცვლილებები, რომლებიც ფიქსირდება ბარათში.

ამას გარდა, სოციალური თანხლება გულისხმობს ფსიქოლოგიურ კონსულტირებას და მხარდაჭერას. ფსიქოლოგიური მხარდაჭერა აუცილებელია კლიენტის მოტივაციის გასაძლიერებლად. მხარდაჭერი კონსულტირების მიზანია კლიენტის სიტუაციის შეფასება, მისი პრობლემების გამოვლენა, მისთვის რეკომენდაციების და სასარგებლო ინფორმაციის მიწოდება, ფსიქოლოგიური მხარდაჭერის აღმოჩენა.

ნაბიჯი 5. სერვისების კოორდინაცია და ხარისხის კონტროლი

სოციალური თანხლების პროგრამის კიდევ ერთ მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს მწყობრი სისტემა კლიენტის გადამისამართებისა (რეფერალი) სხვადასხვა დაწესებულებებში, რომლებიც სპეციალიზდება კლიენტების სხვადასხვა პრობლემებსა და მოთხოვნებზე, რაც, საბოლოო ჯამში, ხელს უწყობს სარისკო ქვევისა და აივ ინფიცირების ინდივიდუალური რისკის შემცირებას. ასეთ სამსახურებს მიეკუთვნება სამედიცინო და სოციალური დახმარების სერვისები, ნარკოლოგიური დაწესებულებები, სოციალური სამსახურები, ზიანის შემცირების პროგრამები, იურიდიული დახმარების სერვისები და სხვ.

იმისათვის, რომ ეს სამსახურები ხელმისაწვდომი გახდეს კლიენტებისათვის, ბიუროს თანამშრომლები წინასწარ აფორმებენ გარკვეულ ხელშეკრულებებს მათთან (ხელშეკრულება თანამშრომლობაზე, ურთიერთგაგების მემორანდუმი და სხვ.). კონსულტანტი არა მარტო აგზავნის სხვადასხვა დაწესებულებაში კლიენტს, არამედ შემდეგ გადაამოწმებს, ისარგებლეს თუ არა მათ ამ სერვისებით. ზოგჯერ, კონსულტანტი თავად მიყვება კლიენტს ამა თუ იმ დაწესებულებაში.

სერვისებით სარგებლობის ეფექტური კოორდინაცია და კონტროლი მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუკი სოციალური თანხლების სპეციალისტს სრული ინფორმაცია აქვს სერვისების მიმწოდებლების შესახებ (მისამართი, ტელეფონი, სერვისების ჩამონათვალი, სერვისის მიწოდების პირობები).

სოციალური თანხლების ყველაზე დიდ სირთულეს წარმოადგენს **კლიენტის პროგრამაში დამაგრება**. იმ პრობლემების გადაჭრის კვალდაკვალ, რომლებიც კლიენტს ძალიან აწუხებს, სოციალური თანხლების პროგრამაზე მოთხოვნილება მცირდება. ადამიანს უჩნდება განცდა, რომ „ყველფერი მოგვარებულია“ და რაღატომ უნდა დარჩეს პროგრამაში? როგორ უნდა მოიქცეს კონსულტანტი ამ შემთხვევაში?

პირველ რიგში, ყურადღებით უნდა შეისწავლოს ასეთი გადაწყვეტილების მიზეზები; თუკი აღმოჩნდება, რომ კლიენტი დარწმუნებულია იმაში, რომ პრობლემების გადაჭრაში დახმარება მიიღო, ის კმაყოფილია მომსახურებით და მომავალში დამოუკიდებლად გადაჭრის პრობლემებს, ეს ჩაითვლება სოციალური თანხლების ნორმალურ შედეგად. მაგრამ, თუკი კლიენტი პროგრამას სხვა მიზეზით ტოვებს, საჭიროა სიტუაციის დამატებითი ანალიზი და ყოველ ცალკეულ შემთხვევაში აუცილებელია ინდივიდუალური მიდგომა.

ნაბიჯი 6. პროგრამიდან გამოსვლა

პროფილაქტიკის ინდივიდუალური გეგმის შედგენის დროს, კონსულტანტი და კლიენტი ერთად განსაზღვრავენ, რა დროის განმავლობაში მოხდება გეგმის შესრულება. ეს დრო დამოკიდებულია კლიენტის პიროვნულ თავისებურებებზე, მის საჭიროებებსა და მოთხოვნებზე და იმ ამოცანებსა და საქმიანობებზე, რომლებიც უნდა განხორციელდეს სოციალური თანხლების პროცესში.

სოციალური თანხლება არის დროში შემოფარგლული პროფილაქტიკური პროგრამა და მოწოდებულია იმისთვის, რომ დაეხმაროს კლიენტს შეფასებისა და დაგეგმარების პროცესში განსაზღვრული ქცევითი ამოცანების მიღწევაში კონსულტაციების, გადამისამართებისა და პროგრამის მსვლელობის მონიტორინგის მეშვეობით. სოციალური თანხლება არ ჩაანაცვლებს კომპლექსურ სოციალურ და ფსიქოლოგიურ დახმარებას. მას შემდეგ, რაც ინდივიდუალურ გეგმაში დასახული ამოცანები შესრულდება, კონსულტანტი და კლიენტი ერთობლივად იღებენ გადაწყვეტილებას პროგრამის დასრულების შესახებ. კლიენტის პროგრამიდან გასვლის მომენტში კლიენტს უნდა განუმარტოთ, რომ ეს რესურსი მისთვის მომავალშიც იქნება ხელმისაწვდომი.

კლიენტის ბარათი N [__ | __ | __]

თქვენი დახმარებისთვის ჩვენ გვჭირდება ინფორმაცია თქვენი ჯანმრთელობისა და ქცევის თავისებურებების შესახებ. ამ მონაცემებს შევიტანთ სპეციალურ ფორმაში - კლიენტის ბარათში. ბარათის შევსებას სჭირდება 10-15 წუთი. ანონიმურობის დასაცავად, თქვენ მოგენიჭებათ სპეციალური კოდი. თქვენ შეგიძლიათ, უარი გვითხრათ ბარათის შევსებაზე ან არ გვიპასუხოთ ცალკეულ შეკითხვებზე. თანახმა ხართ თუ არა ბარათის შევსებაზე?

დიახ

კლიენტის საიდენტიფიკაციო კოდი: [__ | __] [__ | __] [__] [__ | __]
დედის სრული სახელის პირველი ორი ასო მამის სრული სახელის პირველი ორი ასო სქესი (1-მამრ 2-მდედრ) დაბადების წლის ბოლო 2 ციფრი

თარიღი	სოციალური თანხლების მუშაკი, რომელიც მუშაობს კლიენტთან

(პირველი სტრიქონი ივსება კლიენტის ბარათის გახსნის დროს. ცხრილის ახალი სტრიქონების შევსება ხდება იმ შემთხვევაში, თუკი კლიენტთან მუშაობა დაიწყო სხვა სოციალურმა მუშაკმა)

ვისგან შეიტყვეთ სოციალური თანხლების სამსახურის შესახებ?

<input type="checkbox"/>	აუთორიზზე	<input type="checkbox"/>	პრობაციის სამსახურის თანამშრომლისგან
<input type="checkbox"/>	სამედიცინო დაწესებულების თანამშრომლისგან	<input type="checkbox"/>	მასმედია
<input type="checkbox"/>	სოციალური ბიუროს კლიენტისაგან	<input type="checkbox"/>	სხვა (მიუთითეთ) ----- ----- ----- -----
<input type="checkbox"/>	ახალგაზრდული ორგანიზაციის თანამშრომლისაგან		
<input type="checkbox"/>	მეგობრებისგან/ნაცნობებისგან		
<input type="checkbox"/>	ნაბეჭდი საინფორმაციო მასალებიდან		

1. კლიენტის სტატუსი

სკოლის მოსწავლე	<input type="checkbox"/>	ნარკოტიკების მომხმარებელი	<input type="checkbox"/>
სასკოლო ასაკის ბავშვი, რომელიც არ დადის სკოლაში	<input type="checkbox"/>	კანონთან კონფლიქტში მყოფი ახალგაზრდა	<input type="checkbox"/>
სტუდენტი	<input type="checkbox"/>	ჰომოსექსუალური ურთიერთობების მქონე ვაჟი	<input type="checkbox"/>
მშობლების მზრუნველობას მოკლებული ბავშვი	<input type="checkbox"/>	სექს-მუშაკი გოგონა	<input type="checkbox"/>
ქუჩის ბავშვი	<input type="checkbox"/>	სექსუალური ან სხვა ძალადობის მსხვერპლი ახალგაზრდა	<input type="checkbox"/>
ბავშვთა სახლის ბავშვი	<input type="checkbox"/>	ტრანსსექსუალი	<input type="checkbox"/>

ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი	<input type="checkbox"/>	აივ ინფიცირებული ახალგაზრდა	<input type="checkbox"/>
იძულებით გადაადგილებული ახალგაზრდა	<input type="checkbox"/>	სხვა (ჩაწერეთ) ----- -----	<input type="checkbox"/>

2. სტატუსი პროგრამაში

<input type="checkbox"/> პირველადი	თარიღი:	<input type="checkbox"/> გავიდა პროგრამიდან	თარიღი:	გასვლის მიზეზი: _____ (მიუთითეთ მიზეზი - იხ. ქვემოთ)
<input type="checkbox"/> მეორადი	თარიღი:	<input type="checkbox"/> გავიდა პროგრამიდან	თარიღი:	გასვლის მიზეზი: _____ (მიუთითეთ მიზეზი - იხ. ქვემოთ)
გასვლის შესაძლო მიზეზები: 1. პროგრამის წარმატებით დასრულება 2. კლიენტის სურვილი 3. კლიენტის გარდაცვალება 4. საცხოვრებლად სხვაგან გადასვლა 5. კონტაქტის შეუძლებლობა 1 თვის განმავლობაში		6. საფრთხის შემცველი ქცევა კლიენტის მხრიდან 7. სოციალური თანხლების სხვა სისტემაში გადასვლა 8. მკურნალობის/რეაბილიტაციის პროგრამაში გადასვლა 9. სხვა (მიუთითეთ) ----- -----		

3. დემოგრაფიული მონაცემები

საყოფაცხოვრებო პირობები <input type="checkbox"/> გაურკვეველია <input type="checkbox"/> ცხოვრობს მარტო <input type="checkbox"/> ცხოვრობს მშობლებთან ერთად <input type="checkbox"/> ცხოვრობს მეუღლესთან/პარტნიორთან <input type="checkbox"/> ცხოვრობს მშობლებთან და მეუღლესთან ერთად <input type="checkbox"/> სხვა (მიუთითეთ) ----- -----	განათლება <input type="checkbox"/> არა აქვს <input type="checkbox"/> დაწყებითი <input type="checkbox"/> არასრული საშუალო <input type="checkbox"/> საშუალო <input type="checkbox"/> საშუალო სპეციალური <input type="checkbox"/> არასრული უმაღლესი <input type="checkbox"/> უმაღლესი
ოჯახური მდგომარეობა <input type="checkbox"/> დაქორწინებულია <input type="checkbox"/> დაურეგისტრირებელი ქორწინება <input type="checkbox"/> დაუქორწინებელი <input type="checkbox"/> განქორწინებული <input type="checkbox"/> ქვრივი	მუდმივი პარტნიორის ყოლა <input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა შვილები <input type="checkbox"/> დიახ (რამდენი, ასაკი -----) <input type="checkbox"/> არა

4. საბუთების ქონა, დასაქმება

<input type="checkbox"/> პირადობის მოწმობა <input type="checkbox"/> პასპორტი <input type="checkbox"/> სამედიცინო დაზღვევის პოლისი <input type="checkbox"/> მართვის მოწმობა <input type="checkbox"/> სხვა ----- -----	დასაქმება <input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა <input type="checkbox"/> ჭირდება დასაქმება	პროფესია/სპეციალობა ----- ----- სამუშაო გამოცდილება ----- ----- -----
---	---	---

5. ჯანმრთელობის მდგომარეობა (ქრონიკული დაავადებები, გადატანილი ტრავმა ან მძიმე დაავადებები, ფსიქიკური დაავადებები, ხომ არ არის ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ, ხომ არ იღებს რეგულარულად მედიკამენტებს)

6. თამბაქო, ალკოჰოლი

ეწევა თამბაქოს	<input type="checkbox"/> კი <input type="checkbox"/> არა	ეტანება ალკოჰოლს	<input type="checkbox"/> კი <input type="checkbox"/> არა
თუ კი, რა ასაკიდან, რა სიხშირით ----- ----- ----- ----- -----		თუ კი, რა ასაკიდან, რომელ სასმელს, რა სიხშირით ----- ----- ----- ----- -----	

7. ნარკოტიკების მოხმარება

ოდესმე მოუხმარია არალეგალური ნარკოტიკი	<input type="checkbox"/> კი <input type="checkbox"/> არა	თუ კი, გააგრძელეთ (7.1, 7.2)	თუ არა, გადადით 8-ზე
--	--	------------------------------	----------------------

7.1 ნარკოტიკების მოხმარების ისტორია

ნარკოტიკის პირველი მოხმარების ასაკი	
ნარკოტიკის მოხმარების დაწყების მიზეზი	
ინექციური ნარკოტიკის პირველი მოხმარების ასაკი	
ნარკოტიკის სისტემატიური მოხმარების ხანგრძლივობა	
უკანასკნელ ხანებში მოხმარებული ნარკოტიკი (ები), მოხმარების სიხშირე, დოზირება	
მარტო/ჯგუფში მოხმარება	
ბოლო მოხმარება (როდის, რა ნარკოტიკი	

7.2 მკურნალობის ისტორია

რამდენჯერ უმკურნალა, სად, სტაციონარულად, ამბულატორიულად	
მკურნალობის რა მეთოდები იყო გამოყენებული?	
ოდესმე უსარგებლია თუ არა ფსიქოლოგის/ფსიქოთერაპევტის მომსახურებით?	
მკურნალობის შედეგები	
ნარკოტიკების მოხმარების შეწყვეტის	

დამოუკიდებელი მცდელობები (რამდენჯერ, როგორ)	
ნარკოტიკების მოხმარების შეწყვეტის მიზეზები	
ნარკოტიკებისაგან თავშეკავების (რემისიის) მაქსიმალური ხანგრძლივობა. რასთან იყო დაკავშირებული თავშეკავება?	
თავშეკავების შემდეგ მოხმარების განახლების (რეციდივის) მიზეზები	

8. აივ ინფექცია

ჩატარებული აქვს აივ ტესტირება პროგრამაში ჩართვამდე	<input type="checkbox"/> დიახ	<input type="checkbox"/> არა
აივ ინფექციაზე უკანასკნელი გამოკვლევის თარიღი (პროგრამაში ჩართვამდე)		
საჭიროებათა შეფასების შედეგების თანახმად, ესაჭიროება აივ ტესტირება	<input type="checkbox"/> დიახ	<input type="checkbox"/> არა
აივ ინფექციაზე გამოკვლევის თარიღი (პროგრამაში)		
სჭირდება თუ არა ამჟამად კლიენტს არვ თერაპია?	<input type="checkbox"/> დიახ	<input type="checkbox"/> არა
იღებს თუ არა კლიენტი ამჟამად არვ თერაპიას?	<input type="checkbox"/> დიახ	<input type="checkbox"/> არა
იღებდა თუ არა კლიენტი არვ თერაპიას ადრე?	<input type="checkbox"/> დიახ	<input type="checkbox"/> არა
იმყოფება აღრიცხვაზე შიდსის ცენტრში	<input type="checkbox"/> დიახ	<input type="checkbox"/> არა <input type="checkbox"/> არ არის ცნობილი

9. ვირუსული ჰეპატიტები

გამოკვლევა B/C ჰეპატიტებზე		
ჰეპატიტი B	<input type="checkbox"/> დიახ	<input type="checkbox"/> არა
ჰეპატიტი C	<input type="checkbox"/> დიახ	<input type="checkbox"/> არა
ჩატარებული აქვს გამოკვლევა B ჰეპატიტზე	<input type="checkbox"/> დიახ	<input type="checkbox"/> არა
B ჰეპატიტზე გამოკვლევის ჩატარების თარიღი		
ჩატარებული აქვს გამოკვლევა C ჰეპატიტზე	<input type="checkbox"/> დიახ	<input type="checkbox"/> არა
C ჰეპატიტზე გამოკვლევის ჩატარების თარიღი		

10. სგვი

გამოკვლევა სგვი-ზე		
სიფილისი	<input type="checkbox"/> დიახ	<input type="checkbox"/> არა
გონორეა	<input type="checkbox"/> დიახ	<input type="checkbox"/> არა
სხვა სგვი (მიუთითეთ) -----		
ჩაუტარდა გამოკვლევა სგვი-ზე (პროგრამაში)	<input type="checkbox"/> დიახ	<input type="checkbox"/> არა
სგვი-ზე გამოკვლევის ჩატარების თარიღი		

11. იურიდიული სიტუაცია

არის თუ არა დოკუმენტების გაფორმების/აღდგენის აუცილებლობა?	<input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა	თუ კი, რომლის?
ამჟამად სამართალდამცავ ორგანოებთან აქვს პრობლემები	<input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა	თუ კი, როგორი?
სხვა იურიდიული პრობლემები	<input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა	თუ კი, რა სახის?

12. ინფორმაცია ოჯახის შესახებ (ოჯახის შემადგენლობა, საყოფაცხოვრებო პირობები, ოჯახური ურთიერთობები)

13. ინფორმაცია სპორტის/ გატაცებების/გართობის/ თავისუფალი დროის შესახებ

14. სოციალური თანხლების პროგრამის ძირითადი კომპონენტები
(ივსება პროგრამის დასრულების მომენტში, ბოლო შეხვედრაზე)

კომენტარები:

შეთანხმება სოციალური თანხლების სერვისების მიწოდების შესახებ

წინამდებარე შეთანხმება შედგა სოციალურ ბიუროსა (შემდგომში „ბიურო“) და

-----ს
(კლიენტის სახელი და გვარი)

(შემდგომში „კლიენტი“) შორის, ინდივიდუალური სამედიცინო-სოციალური თანხლების პროგრამაში მონაწილეობის საკითხზე.

შეთანხმების საგანი:

შეთანხმების საგანს წარმოადგენს სოციალური ბიუროს მიერ კლიენტის სამედიცინო-სოციალური თანხლების პროგრამის ორგანიზება.

შეთანხმების პირობები:

- სოციალური ბიურო არავის ეტყვის უარს მომსახურებაზე რელიგიური აღმსარებლობის, სქესის, ეთნიკური წარმომავლობის, პოლიტიკური შეხედულებების, სექსუალური ორიენტაციის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო;
- სამედიცინო-სოციალური თანხლების პროგრამაში მონაწილეობა ნებაყოფლობითია;
- სამედიცინო-სოციალური თანხლების პროგრამაში მონაწილეობა უფასოა

1. კლიენტების უფლებები. კლიენტს აქვს უფლება:

- ნებისმიერ დროს ცალმხრივად გააუქმოს ხელშეკრულება;
- მიმართოს ბიუროს ხელმძღვანელს შენიშვნებით ან წინადადებებით სოციალური თანხლების პროგრამასთან დაკავშირებით

2. კლიენტების ვალდებულებები. კლიენტი ვალდებულია:

- მიაწოდოს სოციალური ბიუროს მუშაკებს პროგრამაში მონაწილეობისათვის აუცილებელი ინფორმაცია;
- შეასრულოს სოციალური ბიუროს თანამშრომლების რეკომენდაციები;
- დაიცვას წინასწარ შეთანხმებული შეხვედრების გრაფიკი. იმ შემთხვევაში, თუკი კლიენტი ვერ ახერხებს კონსულტაციაზე გამოცხადებას, მან წინასწარ უნდა გააფრთხილოს სოციალური თანხლების მუშაკი და აცნობოს გამოუცხადებლობის მიზეზი;
- არ მოვიდეს კონსულტაციაზე ალკოჰოლური თრობის მდგომარეობაში;
- აცნობოს სოციალური ბიუროს თანამშრომლებს პარტნიორთა ქსელის ორგანიზაციებში მიმართვის შედეგების შესახებ;
- დაიცვას მათთვის საჭირო მომსახურების მიწოდებელი დაწესებულებების წესები;

- დროულად მიაწოდოს ბიუროს თანამშრომლებს ინფორმაცია ახლად აღმოცენებული პრობლემების შესახებ

3. სოციალური ბიუროს უფლებები. სოციალურ ბიუროს აქვს უფლება:

- უარი უთხრას კლიენტს მომსახურების შემდგომ გაგრძელებაზე, თუკი კლიენტი არ ასრულებს ბიუროს თანამშრომელთა რეკომენდაციებს;
- უარი უთხრას კლიენტს მომსახურებაზე, თუკი კლიენტი არ ასრულებს ამ ხელშეკრულების 2 პუნქტით ნაკისრ ვალდებულებებს;
- უარი უთხრას კლიენტს მომსახურებაზე, თუკი მისი მოთხოვნები კანონსაწინააღმდეგოა

4. სოციალური ბიუროს ვალდებულებები. სოციალური ბიუროს ვალდებულია:

- მიაწოდოს კლიენტს მომსახურება სოციალური თანხლების სტანდარტების შესაბამისად;
- განახორციელოს კლიენტის ინდივიდუალური სამედიცინო-სოციალური თანხლების პროგრამა;
- ხელი შეუწყოს კლიენტის მიერ სხვადასხვა ორგანიზაციებში საჭირო მომსახურების მიღებას;
- დაიცვას კლიენტთან დაკავშირებული ინფორმაციის კონფიდენციალობა. ეს ნიშნავს: კლიენტის წერილობითი თანხმობის გარეშე კლიენტის შესახებ არსებული ინფორმაცია არ გამჟღავნდება და არ გადაეცემა არავის, გარდა სასამართლოს მოთხოვნისა ან კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებისა. ყველანაირი დოკუმენტაცია და ელექტრონული ფაილები შეინახება ბიუროს თანამშრომლების მიერ უსაფრთხო ადგილას.

გთხოვთ, აღნიშნოთ: გავეცანი ზემოთ მოცემულ ინფორმაციას

თარიღი

კლიენტის სახელი, გვარი

კლიენტის ხელმოწერა

თარიღი

კონსულტანტის სახელი, გვარი

კონსულტანტის ხელმოწერა

თანხმობა ინფორმაციის გამჟღავნებაზე

მე ვიცი, რომ ჩემს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინფორმაცია დაცულია საქართველოს კონსტიტუციით და შესაბამისი კანონმდებლობით. ამ ინფორმაციის გამჟღავნება არ შეიძლება ჩემი წერილობითი თანხმობის გარეშე, კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა.

მე ვაძლევ უფლებას ----- (მიუთითეთ პირის სახელი, გვარი/ორგანიზაციის დასახელება), გაუმჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია - ----- (მიუთითეთ პირის სახელი, გვარი/ორგანიზაციის დასახელება.)

ინფორმაცია, რომელიც უნდა გამჟღავნდეს:

ავი სტატუსი, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ნარკოტიკების მოხმარების გამოცდილება და სხვა

მიზანი:

დასაქმება, მატერიალური ან სხვა სახის დახმარება, სხვ

ჩემთვის ცნობილია, რომ შემოდის, ნებისმიერ მომენტში გავუკეთო ანუღირება ჩემს თანხმობას მანამდე, სანამ ამ თანხმობის საფუძველზე სოციალურ ბიუროს არ დაუწყია შესაბამისი ქმედება.

ხელმოწერის თარიღი -----

კლიენტის სახელი და ხელმოწერა -----

თანხმობა ინფორმაციის გამჟღავნებაზე იწერება უშუალოდ განსაზღვრული მოვლენის წინ, განსაკუთრებულ შემთხვევებში, როცა არ არსებობს ალტერნატიული შესაძლებლობები და მხოლოდ კლიენტის ნებაყოფლობითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, მასზე ნებისმიერი ზემოქმედების გარეშე.

სოციალური თანხლების გეგმა

კლიენტის ბარათი N [_ | _ | _]

კლიენტის საიდენტიფიკაციო კოდი [_ | _ | _ | _ | _ | _ | _ | _]

თარიღი	შეხვედრა №	სერვისის დასახელება	გაგზავნის თარიღი	ორგანიზაცია, სადაც მიაწოდებენ სერვისს	შედები		შედების მიღების თარიღი	ხარისხის შეფასება ¹ / სერვისის არმიღების მიზეზი
					1 = მიიღო	2 = ვერ მიიღო		

¹ ხარისხის შეფასების ვარიანტები: ძალიან კარგი/კარგი/დამაკმაყოფილებელი/არადამაკმაყოფილებელი